საქართველოს მთავრობის

დადგენილება №516

2018 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

ტექნიკური რეგლამენტი – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდები

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

ტექნიკური რეგლამენტი – „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდების დამტიცების შესახებ“ (შემდგომში-ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ხილ(ზე)ში, ბოსტნეულ(ზე)ში და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL-Maximum Residue Levels) ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ნიმუშის აღების ერთიანი პრინციპების და პროცედურების განსაზღვრას.

მუხლი 2. პრინციპები

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ხილ(ზე)ში, ბოსტნეულ(ზე)ში და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ნიმუშის აღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) მცენარეული პროდუქტ(ებ)ის, კვერცხის და რძის პროდუქტ(ებ)ისათვის პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) განსაზღვრა მოიცავს პესტიციდების ნარჩენების იმ მაქსიმალური დონეს, რომელიც მოსალოდნელია არსებობდეს პესტიციდ(ებ)ით დამუშავებული პროდუქტის რამოდენიმე ერთეულისგან შემდგარ ნიმუშში და წარმოადგენს პარტიაში პესტიციდების ნარჩენების საშუალო დონეს;

ბ) ხორცის, მათ შორის ფრინველისთვის, პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) მოიცავს პესტიციდების ნარჩენების იმ მაქსიმალურ დონეს, რომელიც მოსალოდნელია არსებობდეს

პესტიციდ(ებ)ით დამუშავებული ინდივიდუალური ცხოველ(ებ)ის ან ფრინველ(ებ)ის ქსოვილებში;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით, ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) ყველა სახის ხორცისათვის, მათ შორის ფრინველისათვის, ვრცელდება გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშზე, რომელიც შედგება ერთი პირველადი ნიმუშისაგან, ხოლო ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) მცენარეული პროდუქტ(ებ)ის, კვერცხის და რძის პროდუქტ(ებ)ისათვის ვრცელდება გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშზე, რომელიც შედგება 1-დან 10-მდე პირველადი ნიმუშისაგან.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ნარჩენების მაქსიმალური დონე (ნმდ) – სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების კონცენტრაციის ზედა დასაშვები რაოდენობა, რომელიც კარგი (სანიმუშო) სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკიდან და მომხმარებელზე ზემოქმედების ყველაზე უმცირესი რაოდენობიდან გამომდინარე, აუცილებელია მოწყვლადი (მგრძნობიარე) ჯგუფების დასაცავად;

ბ) საანალიზო ნაწილი/პორცია – ნარჩენ(ებ)ის კონცენტრაციის განსაზღვრისათვის საანალიზო ნიმუშიდან აღებული (გამოყოფილი) სათანადო ზომის რეპრეზენტატიული რაოდენობის მასალა;

გ) საანალიზო ნიმუში – მასალა ლაბორატორიული ნიმუშიდან, რომელიც მომზადებულია საანალიზოდ განკუთვნილი პროდუქტის ნაწილის გამოცალკავებით და შემდგომი შერევით, დაჭრით, წვრილად დაქუცმაცებით და ა.შ., რათა მინიმალური ცდომილებით იქნეს აღებული საანალიზო ნაწილი/პორცია;

დ) გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში – პროდუქტის პარტიიდან აღებული კომბინირებული და კარგად შერეული პირველადი ნიმუშების ერთობლიობა, გარდა ხორცის, მათ შორის ფრინველისა. ხორცის, მათ შორის ფრინველისთვის გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში პირველადი ნიმუშის ეკვივალენტურია;

ე) ლაბორატორიული ნიმუში – ლაბორატორიაში გაგზავნილი ან ლაბორატორიის მიერ მიღებული ნიმუში. გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშიდან აღებული მასალის რეპრეზენტატიული რაოდენობა;

ვ) პარტია – ერთი სახეობისა და დასახელების სურსათის იდენტიფიცირებადი რაოდენობა, გამოშვებული ერთი და იმავე ბიზნესოპერატორის მიერ, ერთი და იმავე ცვლის დროს, საერთო მახასიათებლებით (წარმოშობა, მწარმოებელი, შეფუთვის ტიპი, შემფუთავი, ტვირთის გამგზავნი, ეტიკეტი, ნიშანდება და სხვა);

ზ) საეჭვო პარტია – პარტია, რომლის მიმართ, რაიმე მიზეზით, არსებობს ეჭვი, რომ ის შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დონეზე მეტ რაოდენობას;

თ) არასაეჭვო პარტია – პარტია, რომლის მიმართ არ არსებობს ეჭვი, რომ ის შეიძლება შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დონეზე მეტ რაოდენობას;

ი) პირველადი ნიმუში – პარტიაში ერთი ადგილიდან აღებული ერთი ან მეტი ერთეული;

კ) ნიმუში – ერთი ან მეტი ერთეული, რომელიც აღებულია ერთეულების გარკვეული რაოდენობიდან, ან მასალის ნაწილი, რომელიც აღებულია მასალის შედარებით დიდი რაოდენობიდან;

ლ) ნიმუშის აღება – პროცედურა, რომელიც გამოიყენება ნიმუშის აღებისა და ნიმუშის შედგენისათვის;

მ) ნიმუშის ასაღები ხელსაწყო – ინსტრუმენტები, მათ შორის ციცხვი, ლაპოტი, ჩამჩა, დანა, ბურღი,

ნიჩაბი და სხვ., რომელიც გამოიყენება ნაყარი, შეუფუთავი მასალიდან ნიმუშის ასაღებად, ასევე შეფუთული (ცილინდრის ფორმის ყუთი, ყველის დიდი თავი და სხვ.) მასალიდან ან ხორცის ან ფრინველის ერთეულიდან ნიმუშის ასაღებად, რომელთა ზომა იმდენად დიდია, რომ ვერ იქნება აღებული როგორც პირველადი ნიმუში; ასევე ხელსაწყო, როგორიცაა ღარებიანი ყუთი, რომელიც გამოიყენება ნიმუშების დაყოფისათვის გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშებიდან ლაბორატორიული ნიმუშის მოსამზადებლად ან საანალიზო ნიმუშიდან საანალიზო ნაწილის/პორციის მოსამზადებლად;

ნ) ნიმუშის აღებაზე უფლებამოსილი – პირი, რომელსაც შესწავლილი აქვს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნიმუშის აღების წესები და შესაბამისი ორგანოს მიერ უფლებამოსილია განახორციელოს ნიმუშის აღება;

ო) ნიმუშის ზომა – ერთეულების ან მასალის რაოდენობა, რომელიც ქმნის ნიმუშს;

პ) ერთეული – პარტიაში უმცირესი/მინიმალური დისკრეტული ნაწილი, რომელიც აღებული უნდა იქნეს მთლიანი პირველადი ნიმუშის ან მისი ნაწილის ფორმირებისათვის.

მუხლი 4. განსაკუთრებული მოთხოვნები

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ხილ(ზე)ში, ბოსტნეულ(ზე)ში და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ნიმუშის აღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ნიმუშის ასაღები ხელსაწყო შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საანალიზო ნაწილის/პორციის ამოსაღებად;

ბ) პროდუქტში ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) განსაზღვრისათვის პროდუქტის ნაწილი, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ანალიზს, შეიძლება შეიცავდეს იმ ნაწილებსაც, რომელთა მოხმარება, როგორც წესი, არ ხდება;

გ) გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშთან დაკავშირებით:

გ.ა) პირველადი ნიმუში უნდა წარმოადგენდეს საკმარის მასალას, რათა შესაძლებელ იქნეს გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშიდან ყველა ლაბორატორიული ნიმუშის აღება;

გ.ბ) როდესაც პირველადი ნიმუშ(ებ)ის აღების დროს მზადდება ცალკეული ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)ი, პარტიიდან ნიმუშის აღების დროს გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში წარმოადგენს ლაბორატორიული ნიმუშების კონცეპტუალურ ჯამს;

დ) ლაბორატორიულ ნიმუშთან დაკავშირებით:

დ.ა) ლაბორატორიული ნიმუში შეიძლება წარმოადგენდეს სრულ გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშს ან მის რომელიმე ნაწილს;

დ.ბ) ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)ის მისაღებად ერთეულები არ უნდა იქნეს დაჭრილი ან გატეხილი/ნაწილებად დაყოფილი, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 ცხრილით – „ხორცი და ფრინველი: საწყისი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური რაოდენობა (ზომა)“ განსაზღვრული შემთხვევებისა;

დ.გ) შესაძლოა მომზადდეს განმეორებითი ლაბორატორიული ნიმუში;

ე) პარტიასთან დაკავშირებით:

ე.ა) იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი შედგება პარტიებისაგან, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც სხვადასხვა ბიზნესოპერატორის მიერ მიწოდებული და ა.შ. მაშინ თითოეული პარტია განხილული უნდა იქნეს ცალ-ცალკე;

ე.ბ) ტვირთი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან ერთზე მეტი პარტიისაგან;

ე.გ) თუ დიდი მოცულობის ტვირთში ცალკეული პარტიის ზომის ან საზღვარის დადგენა ადვილად ვერ ხდება, ცალკეული ვაგონი, სატვირთო ავტომობილი ან გემის ნაკვეთური-სექცია და სხვ. შეიძლება ჩაითვალოს როგორც ცალკეული პარტია;

ე.დ) პარტია შესაძლებელია იქნეს შერეული, მაგ., დახარისხებით ან წარმოების პროცესით;

ვ) პირველად ნიმუშთან დაკავშირებით:

ვ.ა) ადგილი პარტიაში, საიდანაც ხდება პირველადი ნიმუშის აღება, უპირატესად შერჩეული უნდა იქნეს შემთხვევითობის პრინციპით. თუ ეს ფიზიკურად არაპრაქტიკულია, პირველადი ნიმუში აღებული უნდა იქნეს პარტიის შემთხვევით ხელმისაწვდომი ადგილებიდან;

ვ.ბ) პირველადი ნიმუშისათვის საჭირო ერთეულების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ლაბორატორიული ნიმუშებისათვის საჭირო უმცირესი/მინიმალური ზომისა და რაოდენობის მიხედვით;

ვ.გ) მცენარეული პროდუქტ(ებ)ის, კვერცხის და რძის პროდუქტ(ებ)ისათვის, როდესაც პარტიიდან ხდება ერთზე მეტი პირველადი ნიმუშის აღება, თითოეული მათგანი გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშში დაახლოებით თანაბარი პროპორციით უნდა იქნეს წარმოდგენილი;

ვ.დ) იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეულები საშუალო ან დიდი ზომისაა და გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშის შერევა ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)ის რეპრეზენტატიულობას, ან როდესაც ერთეულები შეიძლება შერევისას დაზიანდეს (მაგ., კვერცხი, რბილი კონსისტენციის ხილი), პირველადი ნიმუშის აღებისას განმეორებითი ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)ისათვის ერთეულები შესაძლებელია განაწილებული იქნეს შემთხვევით;

ვ.ე) იმ შემთვევაში, როდესაც პირველადი ნიმუშების აღება ხდება პარტიის ჩატვირთვის ან გადმოტვირთვისას გარკვეული დროის ინტერვალებში, ნიმუშის აღების „ადგილს“ წარმოადგენს ნიმუშის აღების დროის კონკრეტული მონაკვეთი/პერიოდი;

ვ.ვ) პირველადი ნიმუშ(ებ)ის მისაღებად ერთეულები არ უნდა იქნეს დაჭრილი და გატეხილი/ნაწილებად დაყოფილი, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის ცხრილი №3-ით „ხორცი და ფრინველი: პირველადი ნიმუშების აღწერა და უმცირესი/მინიმალური ლაბორატორიული ნიმუშების ზომა“ განსაზღვრული შემთხვევებისა;

ზ) ნიმუშთან დაკავშირებით, რეპრეზენტატიული ნიმუში განკუთვნილია იმისათვის, რომ ნიმუში რეპრეზენტატიული იყოს მოცემული პარტიისათვის, მოცემული გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშისათვის, მოცემული ცხოველისათვის და ა.შ. პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) განსაზღვრისათვის და არ არის აუცილებელი იყოს რეპრეზენტატიული სხვა მახასიათებლებისთვის;

თ) ნიმუშის ასაღებ ხელსაწყოებთან დაკავშირებით:

თ.ა) კონკრეტული აღწერილობები მოცემულია შემდეგ სტანდარტებში:

თ.ა.ა) International Organisation for Standardisation, 1979. International standard ISO 950: Cereals – sampling (as grain);

თ.ა.ბ) International Organisation for Standardisation, 1979. International standard ISO 951: Pulses in bags – sampling;

თ.ა.გ) International Organisation for Standardisation, 1980. International Standard ISO 1839: Sampling – tea;

თ.ა.დ) International Dairy Federation, 1995. International IDF standard 50C: Milk and milk products – methods of sampling;

თ.ბ) ისეთ მასალებთან დაკავშირებით, როგორიცაა გამომშარალი, ფხვიერი ფოთლები, ნიმუშის აღება შესაძლებელია განახორციელოს უფლებამოსილმა პირმა ხელით;

ი) ნიმუშის აღებაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია ყველა იმ პროცედურის განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს ლაბორატორიული ნიმუშის მომზადებას, შეფუთვას და მიწოდებას. მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ აუცილებელია ნიმუშის აღების პროცედურების თანმიმდევრობის დაცვა, ასევე მან უნდა უზრუნველყოს ნიმუშის აღებასთან დაკავშირებული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენა და ლაბორატორიასთან მჭიდრო თანამშრომლობა;

კ) ერთეულები უნდა განისაზღვროს შემდეგი სახით:

კ.ა) ახალი ხილისა და ბოსტნეულისათვის მთლიანი ხილი და ბოსტნეული ან ბუნებრივად ერთიანი ნაყოფი (მაგ.ნ ყურძენი) უნდა წარმოადგენდეს ერთეულს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი მცირე ზომისაა. დაფასოებული მცირე ზომის პროდუქტების ერთეულები შესაძლოა იდენტიფიცირებული იქნეს ამ მუხლის „კ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშის ასაღები ხელსაწყო არ აზიანებს პროდუქტს, იგი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთეულების მიღებისათვის. ერთეულის მისაღებად თითოეული კვერცხი, ახალი ხილი ან ბოსტნეული არ უნდა იქნეს დაჭრილი ან გატეხილი/ნაწილებად დაყოფილი;

კ.ბ) დიდი ზომის ცხოველის, ან მათი ნაწილების, ან ორგანოებისათვის ერთეული უნდა წარმოადგენდეს ცხოველის კონკრეტული ნაწილის ან ორგანოს ნაწილს ან ცხოველის კონკრეტულ ნაწილს ან ორგანოს სრულად/მთლიანად. ერთეულის მისაღებად შესაძლებლია ნაწილები ან ორგანოები იქნეს მოჭრილიж

კ.გ) მცირე ზომის ცხოველების, ან მათი ნაწილების ან მათი ორგანოებისათვის ერთეული შეიძლება წარმოადგენდეს თითოეულ მთლიან ცხოველს ან ცხოველის მთლიან ნაწილს ან მთლიან ორგანოს. თუ ისინი დაფასოებულია, ერთეულები მიღებული უნდა იქნეს ამ მუხლის „კ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშის ასაღები ხელსაწყო გავლენას არ ახდენს ნარჩენებზე, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთეულების აღებისათვის;

კ.დ) დაფასოებული მასალისათვის ერთეულად აღებული უნდა იქნეს უმცირესი დისკრეტული შეფუთვები. თუ უმცირესი შეფუთვები ძალიან დიდი ზომისაა, მათგან ნიმუში აღებული უნდა იქნეს ისე, როგორც შეუფუთავი მასალისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ხოლო თუ უმცირესი შეფუთვა ძალიან მცირე ზომისაა, ერთეულს შეიძლება წარმოდგენდეს თვით შეფუთული პაკეტი ან შეკვრა;

კ.ე) შეუფუთავი მასალების (ნაყარი) ან დიდი ზომის შეფუთვებისათვის (მაგ., დიდი ზომის ცილინდრის ფორმის ყუთი, დიდი ზომის ყველი და სხვ.) რომლებიც, დიდი ზომის გამო ერთეულად ვერ იქნება აღებული, ერთეულები მიიღება ნიმუშის ასაღები ხელსაწყოს გამოყენებით.

მუხლი 5. ნიმუშის აღების მეთოდები და პროცედურები

1. ნიმუშის აღების ყველა ეტაპზე აუცილებელია დაცულ იქნეს სიფრთხილის ზომები. ნიმუში დაცული უნდა იქნეს დაბინძურებისა და გაფუჭება/დაზიანებისაგან, რამდენადაც ამან შეიძლება გავლენა იქონიოს ანალიზის შედეგებზე. ცალკეული პარტიიდან, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო კონტროლს, ნიმუშები აღებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე.

2. ნიმუშებთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პროცედურები:

ა) პირველადი ნიმუშების აღებასთან დაკავშირებით:

ა.ა) პირველადი ნიმუშების უმცირესი/მინიმალური რაოდენობა, რომელიც აღებული უნდა იქნეს პარტიიდან, განისაზღვრება ცხრილი №1-ის „პარტიიდან ასაღები პირველადი ნიმუშების უმცირესი/მინიმალური რაოდენობა“ მიხედვით, ხოლო ხორცის და ფრინველის საეჭვო პარტიიდან ცხრილი №2-ის – „ხორცის ან ფრინველის პარტიიდან შემთხვევით ასაღები პირველადი ნიმუშების

რაოდენობა, რომელიც საჭიროა მოცემული ალბათობისათვის სულ მცირე ერთი შეუსაბამო ნიმუშის აღმოსაჩენად, პარტიაში მოცემული სიხშირით ნარჩენების შეუსაბამობების შემთხვევაში“ მიხედვით;

ა.ბ) თითოეული პირველადი ნიმუში, შესაძლებლობის მიხედვით, აღებული უნდა იქნეს პარტიის შემთხვევით შერჩეული ადგილიდან, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. პირველადი ნიმუშები უნდა წარმოადგენდეს საკმარის მასალას იმისათვის, რომ მოცემული პარტიისათვის მიღებულ იქნეს ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)ი;

ბ) გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშის მომზადებასთან დაკავშირებით:

ბ.ა) ხორცისა და ფრინველისათვის პროცედურები მოცემულია ცხრილი №3-ში – „ხორცი და ფრინველი: საწყისი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური რაოდენობა (ზომა)“. ცალკეული პირველადი ნიმუში განხილული უნდა იქნეს როგორც ცალკეული გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში;

ბ.ბ) მცენარეული პროდუქტ(ებ)ის, კვერცხის და რძის პროდუქტ(ებ)ისათვის პროცედურები მოცემულია ცხრილი №4-ში „მცენარეული პროდუქტები: პირველადი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური ზომა“და ცხრილი №5-ში – კვერცხი და რძის პროდუქტები: პირველადი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური ზომა“. გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშის ფორმირებისათვის, თუ პრაქტიკულად შესაძლებელია, პირველადი ნიმუშები უნდა გაერთიანდეს და კარგად უნდა იქნეს შერეული;

ბ.გ) თუ გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუშის ფორმირებისათვის შერევა შეუძლებელია და პრაქტიკულად ვერ ხორციელდება, გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული პროცედურები. თუ შერევის ან დაყოფის პროცესების შედეგად პროდუქტის ერთეულები შესაძლებელია დაზიანდეს, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს პესტიციდების ნარჩენი რაოდენობით შემცველობაზე, ან ნარჩენების თანაბრად გადანაწილებისათვის დიდი ზომის ერთეულების შერევა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში პირველადი ნიმუშის აღებისას, ლაბორატორიული ნიმუშის ფორმირებისათვის, ერთეულები აღებული უნდა იქნეს შემთხვევით. ამ შემთხვევაში შედეგი, რომელიც შეფასებისათვის იქნება გამოყენებული, უნდა წარმოადგენდეს ლაბორატორიული ნიმუშების ანალიზის შედეგად მიღებული მნიშვნელობების საშუალო სიდიდეს;

გ) ლაბორატორიული ნიმუშის მომზადებასთან დაკავშირებით:

გ.ა) ნიმუშის აღებაზე უფლებამოსილმა პირმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს ფორმულარი – პარტიის წარმოშობის და მახასიათებლების შესახებ მონაცემები, ანუ ინფორმაცია მფლობელის, მიმწოდებლის ან გადამზიდავის შესახებ, ნიმუშის აღების ადგილმდებარეობა, თარიღი და ყველა სხვა სახის ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი გადახრა ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნიმუშის აღების წესიდან. დოკუმენტის ხელმოწერილი ასლი თან უნდა ახლდეს ყველა ლაბორატორიულ ნიმუშს და ერთი ასლი შენახული უნდა იქნეს ნიმუშის ამღები უფლებამოსილი პირის მიერ. ჩანაწერების ასლი უნდა მიეწოდოს ასევე პარტიის მფლობელს ან მის წარმომადგენელს, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არა ისინი ლაბორატორიულ ნიმუშს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გაცემა ხდება კომპიუტერული ფორმატით, მათი მიწოდება უნდა განხორციელდეს იმავე მიმღები პირებისათვის ისე რომ შესაძლებელი იყოს განხორციელებული პროცედურების სისწორის გადამოწმება.

გ.ბ) ლაბორატორიული ნიმუშის მომზადებისას, როდესაც გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში იმაზე მეტია/დიდია, ვიდრე საჭიროა ლაბორატორიული ნიმუშის მომზადებისათვის, გაერთიანებული/მოცულობითი ნიმუში დაყოფილი უნდა იქნეს რეპრეზენტატიულ ნაწილებად. ამ მიზნით, ზომის შემცირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნიმუშის ასაღები ხელსაწყო, კვარტირება (ნიმუშის მომზადება ოთხად დაყოფის მეთოდით) ან სხვა შესაბამისი პროცედურა, მაგრამ ახალი მცენარეული პროდუქტების ერთეულები და მთლიანი კვერცხი არ უნდა იქნეს დაჭრილი ან გატეხილი/ნაწილებად დაყოფილი. საჭიროების მიხედვით, ამ ეტაპზე აღებული უნდა იქნეს განმეორებითი ლაბორატორიული ნიმუში ან ისინი მომზადებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ალტერნატიული პროცედურის შესაბამისად. უმცირესი/მინიმალური ზომები, რომელიც საჭიროა ლაბორატორიული ნიმუშების მოსამზადებლად, მოცემულია ცხრილი №3, №4 და №5-ში;

გ.გ) ლაბორატორიული ნიმუში მოთავსებული უნდა იქნეს ინერტული მასალისაგან დამზადებულ სუფთა კონტეინერში (ტარაში), რომელიც უზრუნველყოფს ნიმუშის დაცვას დაბინძურებისაგან, დაზიანებისა და დაღვრისაგან. კონტეინერი (ტარა) ჰერმეტულად უნდა იქნეს დახურული, მისი მარკირება (ნიშანდება) უნდა განხორციელდეს ისე, რომ შეუძლებელი იყოს მისი წაშლა. ნიმუშს თან უნდა ახდეს ნიმუშის ფორმულარი. შტრიხ-კოდის გამოყენების შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს ციფრულ-ანბანური ინფორმაცია;

გ.დ) ლაბორატორიაში ნიმუში მიწოდებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად სწრაფად. მიწოდებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნიმუშის გაფუჭება, მაგ., ახალი, ნედლი ნიმუშების მიწოდება უნდა განხორციელდეს გაცივებულ მდგომარეობაში, გაყინული პროდუქტები – გაყინულ მდგომარეობაში. თუ ხორცის და ფრინველის მიწოდება ლაბორატორიისათვის ვერ ხდება გაფუჭებამდე, საჭიროა ლაბორატორიაში გადატანამდე მათი გაყინვა;

დ) საანალიზო ნიმუშის მომზადებასთან დაკავშირებით:

დ.ა) ლაბორატორიულ ნიმუშს უნდა მიენიჭოს საკუთარი ამომცნობი ნომერი, რომელიც ნიმუშის მიღების თარიღთან და ნიმუშის ზომასთან ერთად უნდა აღინიშნოს ნიმუშის ფორმულარში;

დ.ბ) საანალიზო ნიმუში, ანუ პროდუქტის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება ანალიზს, გამოცალკავებული უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების დონე გამოთვლილი უნდა იქნეს იმგვარად, რომ მასში შედიოდეს ის ნაწილებიც, რომელიც არ დაექვემდებარა ანალიზს, რეგისტრირებული უნდა იქნეს ამ ნაწილების წონაც (მაგ., კურკოვანი მცენარეების კურკა, რომელიც ანალიზს არ ექვემდებარება);

ე) საანალიზო ნაწილის/პორციის მომზადებასა და შენახვასთან დაკავშირებით:

ე.ა) საჭიროების მიხედვით, საანალიზო ნიმუში უნდა დაქუცმაცდეს და კარგად უნდა იქნეს შერეული, რათა შესაძლებელ იქნეს რეპრეზენტატიული საანალიზო ნაწილის/პორციის მიღება. საანალიზო ნაწილის/პორციის ზომა განსაზღვრული უნდა იქნეს ანალიზის მეთოდისა და შერევის ხარისხის მიხედვით. დაქუცმაცების/დანაწევრების და შერევის მეთოდების შესახებ უნდა მოხდეს ჩანაწერის გაკეთება და გავლენას არ უნდა ახდენდეს საანალიზო ნიმუშში ნარჩენების რაოდენობაზე;

ე.ბ) საჭიროების შემთხვევაში, უარყოფითი ეფექტების შემცირებისათვის, საანალიზო ნიმუში დამუშავებული უნდა იქნეს განსაკუთრებულ პირობებში, მაგ., 0^0C-ზე დაბალ ტემპერატურაზე. იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს ნარჩენებზე და პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი ალტერნატიული მეთოდები, საანალიზო ნიმუშები შეიძლება შედგებოდეს მთლიანი ერთეულებისაგან ან მთლიანი ერთეულებისაგან გამოყოფილი/აღებული ნაწილებისაგან/სეგმენტებისაგან. თუ საანალიზო ნაწილი/პორცია შედგება მცირე რაოდენობით ერთეულებისაგან ან ნაწილებისაგან/სეგმენტებისაგან, ამ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ამ ნაწილების საკმარისი რაოდენობის ასლების ანალიზი, რათა ნაჩვენები იქნეს საშუალო მნიშვნელობის შესაძლო ცდომილება;

ე.გ) თუ საანალიზო ნაწილი/პორცია ანალიზის ჩატარებამდე ექვემდებარება შენახვას, შენახვის მეთოდები და ვადები გავლენას არ უნდა ახდენდეს ნარჩენების დონეზე;

ე.დ) საჭიროების მიხედვით, განმეორებითი და დამადასტურებელი ანალიზებისათვის აუცილებელია აღებულ იქნეს დამატებითი ნაწილები.

3. ნიმუშის აღების სქემატური გამოსახულებები მოცემულია ნახაზი №1-ზე – „ნიმუშის აღების სქემა: პროდუქტები, გარდა ხორცისა და ფრინველისა“ და ნახაზი №2-ზე „ნიმუშის აღების სქემა: ხორცი და ფრინველი“ .

მუხლი 6. შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმები

1. ანალიზის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს ერთი ან მეტი ლაბორატორიული ნიმუშიდან, რომელიც აღებულია პარტიიდან და მიღებულია ანალიზის განხორციელებისათვის სათანადო პირობებში. შედეგები გამყარებული უნდა იქნეს ხარისხის კონტროლის შესახებ მონაცემებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დონეს (MRL), აუცილებელია დადასტურებული იქნეს პესტიციდის დასახელება, ხოლო მისი კონცენტრაცია შემოწმებული უნდა იქნეს ერთი ან მეტი დამატებითი საანალიზო ნაწილის/პორციის ანალიზით, რომელიც აღებულია საწყისი ლაბორატორიული ნიმუშ(ებ)იდან.

3. ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) ვრცელდება გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშზე.

4. პარტია იმ შემთხვევაში შეესაბამება ნარჩენების მაქსიმალური დონეს (MRL), თუ ანალიზის შედეგები არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დონეს.

5. იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებულ/მოცულობით ნიმუშში ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) აღემატება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ დონეს, პარტიის შეუსაბამობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) კონკრეტული გარემოებების შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ლაბორატორიული ნიმუშიდან მიღებულ შედეგები;

ბ) ანალიზის ცდომილება(სარწმუნოობა) და სიზუსტე, რომელზედაც მითითებულია ხარისხის კონტროლის მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებში.

ცხრილი №1

პარტიიდან ასაღები პირველადი ნიმუშების

უმცირესი/მინიმალური რაოდენობა

	პარტიიდან ასაღები პირველადი ნიმუშების **უმცირესი/მინიმალური რაოდენობა**
ა) ხორცი და ფრინველი	
არასაეჭვო პარტია	1
საეჭვო პარტია	განისაზღვრება ცხრილი №2-ის შესაბამისად
ბ) სხვა პროდუქტები	
ბ.ა) პროდუქტები, შეფუთული ან ნაყარი/შეუფუთავი სახით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კარგად შერეულად ან ერთგვაროვნად (ჰომოგენიზირებულად)	1 (მაგ., პარტია შესაძლებელია იქნეს შერეული დახარისხების და წარმოების პროცესში)
ბ.ბ) პროდუქტები, შეფუთული ან ნაყარი/შეუფუთავი სახით, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს კარგად შერეულად ან ერთგვაროვნად (ჰომოგენიზირებულად)	პროდუქტებისათვის, რომელიც შედგება დიდი ზომის ერთეულებისაგან და წარმოადგენს მცენარეული წარმოშობის სურსათს, პირველადი ნიმუშების უმცირესი/მინიმალური რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ლაბორატორიული ნიმუშისათვის აუცილებელი ერთეულების უმცირეს/მინიმალურ რაოდენობას (იხ. ცხრილი №4)
ან/და	
პარტიის ზომა, კგ	

< 50	3
50-500	5
> 500	10
ან	
პარტიაში ქილების, მუყაოს ყუთების ან სხვა კონტეინერების (ტარის, შეფუთვების) რაოდენობა	
1-25	1
26-100	5
>100	10

ცხრილი №2

ხორცის ან ფრინველის პარტიიდან შემთხვევით ასაღები პირველადი ნიმუშების რაოდენობა, რომელიც საჭიროა მოცემული ალბათობისათვის სულ მცირე ერთი შეუსაბამო ნიმუშის აღმოსაჩენად, პარტიაში მოცემული სიხშირით ნარჩენების შეუსაბამობების შემთხვევაში

პარტიაში მოთხოვნებთან შეუსაბამო ნარჩენების სიხშირე	ნიმუშების უმცირესი/მინიმალური რაოდენობა (n_0), რომელიც საჭიროა შეუსაბამო ნიმუშების აღმოსაჩენად მოცემული ალბათობებით:		
%	90 %	95 %	99 %
90	1	-	2
80	-	2	3
70	2	3	4
60	3	4	5
50	4	5	7
40	5	6	9
35	6	7	11
30	7	9	13
25	9	11	17
20	11	14	21
15	15	19	29
10	22	29	44
5	45	59	90

1	231	299	459
0,5	460	598	919
0,1	2301	2995	4603

შენიშვნები:

ა)ცხრილში იგულისხმება, რომ ნიმუშის აღება ხდება შემთხვევით.

ბ) როდესაც ცხრილ №2-ში მოცემული პირველადი ნიმუშების რაოდენობა აღემატება მთლიანი პარტიის ერთეულების 10%-ს, ასაღები პირველადი ნიმუშების რაოდენობა შეიძლება იყოს უფრო მცირე და გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$n = n_o/(1 + (n_o - 1)/N$

სადაც,

n = პირველადი ნიმუშების მინიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს აღებული;

n_o = ცხრილი №2-ში მოცემული პირველადი ნიმუშების რაოდენობა;

N = ერთეულების რაოდენობა, რომლიდანაც შესაძლებელია მიღებული იქნეს პარტიაში პირველადი ნიმუში;

გ) როდესაც ხდება მხოლოდ ერთი პირველადი ნიმუშის აღება, ალბათობა კანონმდებლობით განსაზღვრულ შეუსაბამობის აღმოჩენისა ანალოგიურია შეუსაბამო ნარჩენების სიხშირისა;

დ) ზუსტი ან ალტერნატიული ალბათობების შემთხვევაში ან სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამობის სიხშირის შემთხვევაში, ნიმუშების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს აღებული, შესაძებელია გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$1 - p = (1 - i)^n$

სადაც,

p = ალბათობა,

i = მოთხოვნებთან შეუსაბამო ნარჩენების სიხშირე პარტიაში (ორივე სიდიდე გამოსახული უნდა იქნეს წილობრივად და არა პროცენტებში)

n = ნიმუშების რაოდენობა.

ხორცი და ფრინველი: პირველადი ნიმუშის აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშის მინიმალური ზომა“ განსაზღვრული შემთხვევებისა;

ცხრილი №3

ხორცი და ფრინველი: საწყისი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური რაოდენობა (ზომა)

	პროდუქტის კლასიფიკაცია (1)	დასახელება	ასაღები პირველადი ნიმუში	თითოეული ლაბორატორიული ნიმუშის მინიმალური ზომა
ცხოველური წარმოშობის პირველადი პროდუქტები				
1	**ძუძუმწოვრების ხორცი** **შენიშვნა:** ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) დადგენისათვის ცხიმში ხსნადი პესტიციდებისათვის ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს ამ ცხრილის ნაწილი			

	№2-ის შესაბამისად			
1.1	დიდი ზომის ძუძუმწოვრები, მთლიანი ან ნახევარი ტანხორცი, მასით ≥ 10 კგ	მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, ღორი	დიაფრაგმა ან მისი ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში დამატებული ცერვიკალური (კისრის) კუნთები	0,5 კგ
1.2	მცირე ზომის ძუძუმწოვრები, მთლიანი ტანხორცი	კურდღელი	მთლიანი ტანხორცი ან უკანა ნაოთხალი (უკანა ტანი ფეხებით)	0,5 კგ კანისა და ძვლების მოცილების შემდეგ
1.3	ძუძუმწოვრების ტანხორციდან გამოცალკევებული ხორციანი ნაწილები, ახალი/გაგრილებული/ გაყინული დაფასოებული ან სხვაგვარად მომზადებული	მეოთხედები (ნაოთხალები) ნაჭრებად დაჭრილი სტეიკისთვის განკუთვნილი ხორცი, მხრები	მთლიანი ერთეულ(ებ)ი, ან დიდი ზომის ერთეულის ნაწილი	0,5 კგ ძვლის მოცილების შემდეგ
1.4	ძუძუმწოვრების ტანხორციდან გამოცალკევებული ხორციანი ნაწილები, გაყინული ნაყარის სახით	მეოთხედები (ნაოთხალები), ნაჭრებად დაჭრილი	ან კონტეინერიდან/ტარიდან განივი კვეთით აღებული გაყინული ნაწილი, ან ცალკეული ხორცის მთლიანი ნაწილი ან ამ ნაწილიდან აღებული სეგმენტი	0,5 კგ ძვლის მოცილების შემდეგ
2	**ძუძუმწოვრების ცხიმი, ტანხორცის ცხიმის ჩათვლით** **შენიშვნა:** ცხიმის ნიმუშები, რომლებიც აღებულია ამ ცხრილის 2.1 , 2.2 და 2,3 ნაწილების შესაბამისად, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ცხიმში ან მთლიან პროდუქტში ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) დასადგენად.			
2.1	დიდი ზომის ძუძუმწოვრები სასაკლაოზე, მთლიანი ან ნახევარი ტანხორცი, მასით ≥ 10კგ	მსხვილფეხა საქონელი ცხვარი, ღორი	თირკმელის, მუცლის ან კანქვეშა ცხიმი აღებული (ამოჭრილი) ერთი ცხოველიდან	0,5 კგ
2.2	მცირე ზომის ძუძუმწოვრები სასაკლაოზე, მთლიანი ან ნახევარი ტანხორცი, მასით < 10 კგ		მუცლის ან კანქვეშა ცხიმი, რომელიც ამოჭრილია ერთი ან მეტი ცხოველიდან	0,5 კგ
2.3	ძუძუმწოვრის ხორციანი ნაწილები	ფეხები, ნაჭრებად დაჭრილი, სტეიკისთვის	ან თვალით შესამჩნევი ცხიმი, რომელიც ამოჭრილია ერთეულ(ებ)იდან	0,5 კგ

		განკუთვნილი ხორცი	ან მთლიანი ერთეულ(ებ)ი ან მთლიანი ერთეულ(ებ)ის ნაწილი, სადაც შეუძლებელია ცხიმის ამოჭრა	2კგ
2.4	ძუძუმწოვრების ცხიმოვანი ქსოვილი ნაყარის სახით		ერთეულები, რომელთა აღება ხდება ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი სულ მცირე 3 ადგილიდან	0,5 კგ
3	**ძუძუმწოვრების სუბპროდუქტები**			
3.1	ძუძუმწოვრების ღვიძლი, ახალი, გაგრილებული, გაყინული		მთლიანი ღვიძლ(ებ)ი ან ღვიძლის ნაწილი	0,4 კგ
3.2	ძუძუმწოვრების თირკმელი, ახალი, გაგრილებული, გაყინული		ერთი ან ორივე თირკმელი, ერთი ან ორი ცხოველიდან	0,2 კგ
3.3	ძუძუმწოვრების გული, ახალი, გაგრილებული, გაყინული		მთლიანი გულ(ებ)ი ან პარკუჭის ნაწილი, თუ დიდი ზომისაა	0,4 კგ
3.4	სხვა ძუძუმწოვრების სუბპროდუქტები, ახალი, გაგრილებული, გაყინული		ერთი ან მეტი ცხოველიდან აღებული ნაწილი ან მთლიანი ერთეული, ან ბლოკებად გაყინული პროდუქტიდან განივი კვეთით აღებული ნაწილი	0,5 კგ
4	**ფრინველის ხორცი** **შენიშვნა:** ნარჩენების მაქსიმალური დონის დადგენისათვის(MRL) ცხიმში ხსნადი პესტიციდებისათვის ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს ამ ცხრილის ნაწილი №5-ის შესაბამისად			
4.1	ფრინველი, დიდი ზომის ტანხორცი, მასით >2 კგ	ინდაური, ბატი, მამალი, ნასუქი მამალი (capons) და იხვი	ბარკლები, ფეხები და სხვა მუქი შეფერილობის ხორცი	0,5 კგ ძვლის და კანის მოცილების შემდეგ
4.2	ფრინველი, საშუალო ზომის ტანხორცით, მასით 500 გ -2 კგ	ქათამი, ციცარი, ვარია	ბარკლები, ფეხები და სხვა მუქი შეფერილობის ხორცი სულ მცირე 3 ფრინველიდან	0,5 კგ ძვლის და კანის მოცილების შემდეგ
4.3	ფრინველი მცირე ზომის ტანხორცით, მასით < 500 გ	მწყერი, მტრედი	ტანხორცები, სულ მცირე 6 ფრინველიდან	0,2 კგ კუნთოვანი ქსოვილიდან
	ფრინველის ნაწილები ახალი,	ფეხები,		0,5 კგ

4.4	გაგრილებული, გაყინული, საცალო ან საბითუმო ვაჭრობისთვის დაფასოებული	ნაოთხალები, მკერდი და ფრთები	დაფასოებული ერთეულები ან ინდივიდუალური ერთეულები	ძვლის და კანის მოცილების შემდეგ
5	**ფრინველის ცხიმი, ტანხორცის ცხიმის ჩათვლით** **შენიშვნა:** ცხიმის ნიმუშები, რომლებიც აღებულია ამ ცხრილის 5.1 და 5.2 ნაწილების შესაბამისად, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ცხიმში ან მთლიან პროდუქტში ნარჩენების მაქსიმალური დონის (MRL) დასადგენად.			
5.1	ფრინველები სასაკლაოზე, მთლიანი ტანხორცი ან კარკასის ნაწილი	წიწილები, ინდაურები	მუცლის ცხიმის ერთეულები სულ მცირე 3 ფრინველიდან	0,5 კგ
5.2	ფრინველის ხორცის ნაწილები	ფეხები, მკერდი, კუნთები	ან თვალით შესამჩნევი ცხიმი, რომელიც ამოჭრილია ერთეულ(ებ)იდან ან მთლიანი ერთეულ(ებ)ი ან მთლიანი ერთეულ(ებ)ის ნაწილი, სადაც შეუძლებელია ცხიმის ამოჭრა	0,5 კგ 2 კგ
5.3	ფრინველის ცხიმოვანი ქსოვილი ნაყარის სახით		ერთეულები, რომლის აღება ხდება ნიმუშის ასაღები მოწყობილობით სულ მცირე 3 ადგილიდან	0,5 კგ
6	**ფრინველის სუბპროდუქტები**			
6.1	ფრინველის შიგნეულობა საჭმელად ვარგისი, გარდა ბატისა და იხვის ღვიძლის ცხიმის და მაღალი ღირებულების მსგავსი პროდუქტებისა		ერთეულები არანაკლებ 6 ფრინველიდან ან კონტეინერიდან/ტარიდან განივი კვეთით აღებული გაყინული ნაწილი	0,2 კგ
6.2	ბატისა და იხვის ღვიძლის ცხიმი და მაღალი ღირებულების მსგავსი პროდუქტები		ერთეული ერთი ფრინველიდან ან კონტეინერიდან/ტარიდან	0,05 კგ
ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული სურსათი				
7	**ცხოველური წარმოშობის სურსათი** - მშრალი (გამომშრალი) ხორცის პროდუქტები. **ცხოველური წარმოშობის საჭმელად ვარგისი პროდუქტები** - გადამუშავებული ცხოველური ცხიმი, მათ შორის გადამდნარი ან ექსტრაგირებული ცხიმი, **დამზადებული ცხოველური წარმოშობის სურსათი** (ერთი ინგრედიენტით) - სურსათი, რომელსაც დამატებული აქვს ან არა აქვს დამატებული არომატიზატორები სანელებლები, სუნელები, რომელიც ჩვეულებრივ დაფასოებულია ან არ არის დაფასოებული და მზად არის საბოლოო მოხმარებისათვის მომზადებით ან მომზადების გარეშე. **ცხოველური წარმოშობის წარმოებული სურსათი** (რამოდენიმე ინგრედიენტის შემცველობით) - სურსათი, რომელიც წარმოადგენს რამოდენიმე ინგრედიენტის შემცველობის მქონე სურსათს და შედგება როგორც ცხოველური, ასევე			

	მცენარეული წარმოშობის ინგრედიენტებისაგან და იმ შემთხვევაში განიხილება ამ ნაწილში, თუ ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტის (ინგრედიენტების) შემცველობა უპირატესია			
7.1	ძუძუმწოვარები ან ფრინველები, წარმოებული, მომზადებული, დაკონსერვებული, გამომშრალი, გადამდნარი ან სხვაგვარად დამუშავებული პროდუქტები, რამდენიმე ინგრედიენტის შემცველობის პროდუქტების ჩათვლით	ლორი, ძეხვეული, საქონლის გატარებული ხორცი, ქათმის პასტა (პაშტეტი)	დაფასოებული ერთეულები, ან კონტეინერიდან/ტარიდან განივი კვეთით აღებული რეპრეზენტატიული ნაწილი, ან ერთეულები (წვენის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთვევაში), თუ აღებულია ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 კგ, ან 2 კგ თუ ცხიმის შემცველობა < 5%

ცხრილი №4

მცენარეული პროდუქტები: პირველადი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური ზომა

	პროდუქტის კლასიფიკაცია	**დასახელება**	**ასაღები პირველადი ნიმუში**	**ცალკეული ლაბორატორიული ნიმუშის მინიმალური ზომა**
მცენარეული წარმოშობის პირველადი სურსათი				
1	ყველა სახეობის ახალი ხილი, ყველა სახეობის ახალი ბოსტნეული, კარტოფილის და შაქრის ჭარხლის ჩათვლით, გარდა მწვანილებისა			
1.1	მცირე ზომის ახალი პროდუქტები, რომელთა ერთი ცალობითი ერთეულის მასა < 25 გ-ზე	კენკრა, ბარდა, ზეთისხილი	მთლიანი ერთეულები, ან შეფუთვები, ან ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	1 კგ
1.2	საშუალო ზომის ახალი პროდუქტები, რომელთა ერთი ცალობითი ერთეულის მასა ჩვეულებრივ 25 - 250 გ-ია	ვაშლი, ფორთოხალი	მთლიანი ერთეულები	1კგ (სულ მცირე 10 ცალობითი ერთეული)
1.3	დიდი ზომის ახალი პროდუქტები, რომელთა ერთი ცალობითი ერთეულის მასა ჩვეულებრივ > 250 გ-ზე	კომბოსტო, კიტრი, ყურძენი (მტევნები)	მთლიანი ერთეულ(ებ)ი	2 კგ (სულ მცირე 5 ცალობითი ერთეული)
		ლობიო, მშრალი;		

2	პარკოსნები	ბარდა, მშრალი;		1 კგ
	მარცვლოვნები	ბრინჯი, ხორბალი		1კგ
	კაკლოვანები	გარდა ქოქოსისა		1კგ
		ქოქოსი		5 ცალობითი ერთეული
	ზეთოვანი მცენარეების თესლები	მიწისთხილი (არაქისი)		0,5 კგ
	თესლი სასმელებისა და ტკბილეულობისთვის	ყავის მარცვლები		0,5 კგ
3	მწვანილები	ახალი (ნედლი) ოხრახუში	მთლიანი ერთეულები	0,5 კგ
		სხვა, ახალი (ნედლი)		0,2 კგ
	(გამომშრალი მწვანილისთვის იხილეთ ამ ცხრილის მე-4 ნაწილი)			
	სანელებლები	მშრალი (გამომშრალი)	მთლიანი ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,1 კგ
მცენარეული წარმოშობის გადამუშავებული სურსათი				
4	**მცენარეული წარმოშობის სურსათი** - მშრალი ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, სვია, დაფქვილი მარცვლოვნები **მცენარეული წარმოშობის გადამუშავებული პროდუქტები** - ჩაი, ბალახის ჩაი, მცენარეული ზეთები, წვენები და სხვა პროდუქტები, მაგ.გადამუშავებული ზეთისხილი და ციტუსის მელასა **დამზადებული მცენარეული წარმოშობის სურსათი** (ერთი ინგრედიენტით) - სურსათი, რომელსაც დამატებული აქვს ან არა აქვს დამატებული არომატიზატორები სანელებლები, სუნელები, რომელიც ჩვეულებრივ დაფასოებულია ან არ არის დაფასოებული და მზად არის საბოლოო მოხმარებისათვის მომზადებით ან მომზადების გარეშე. **ცხოველური წარმოშობის წარმოებული სურსათი** (რამდენიმე ინგრედიენტის შემცველობით) - სურსათი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ინგრედიენტის შემცველობის მქონე სურსათს და შედგება როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტებისაგან და იმ შემთხვევაში განიხილება ამ ნაწილში, თუ მცენარეული წარმოშობის ინგრედიენტის (ინგრედიენტების) შემცველობა უპირატესია, პური და სხვა მარცვლოვნებისგან დამზადებული პროდუქტები			
4.1	პროდუქტები, რომელთა სასაქონლო ერთეულებს მაღალი ღირებულება აქვთ		შეფუთვები ან ერთეულები, აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,1 კგ ([1])
			შეფუთვები ან	

4.2	მცირე მასის მქონე მყარი პროდუქტები	სვია, ჩაი, ბალახის ჩაი	ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები მოწყობილობით	0,2 კგ
4.3	სხვა მყარი პროდუქტები	პური, ფქვილი, მშრალი ხილი	შეფუთვები ან სხვა მთლიანი ერთეულები, ან ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 კგ
4.4	თხევადი პროდუქტები	მცენარეული ზეთები, წვენები	შეფუთული/ დაფასოებული ერთეულები ან ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 ლ ან 0,5 კგ
([1]) განსაკუთრებით მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტიდან შესაძლებელია უფრო მცირე ზომის ლაბორატორიული ნიმუშის აღება, მაგრამ ფორმულარში მითითებული უნდა იქნეს მცირე ზომის ლაბორატორიული ნიმუშის აღების მიზეზი				

ცხრილი №5

კვერცხი და რძის პროდუქტები: პირველადი ნიმუშების აღწერა და ლაბორატორიული ნიმუშების მინიმალური ზომა

	პროდუქტის კლასიფიკაცია	**დასახელება**	**ასაღები პირველადი ნიმუში**	**ცალკეული ლაბორატორიული ნიმუშის მინიმალური ზომა**
ცხოველური წარმოშობის პირველადი სურსათი				
1	ფრინველის კვერცხი			
1.1	კვერცხი, გარდა მწყერისა და მსგავსი ფრინველის		მთლიანი კვერცხი	ქათმის 12 ცალი მთელი კვერცხი, ბატის ან იხვის 6 ცალი მთელი კვერცხი
1.2	კვერცხი, მწყერისა და მსგავსი ფრინველის		მთლიანი კვერცხი	24 ცალი მთელი კვერცხი

2	რძე		მთლიანი ერთეულები ან ერთეულები აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 ლ
ცხოველური წარმოშობის გადამუშავებული სურსათი				
3	**ცხოველური წარმოშობის სურსათი** - რძის პროდუქტები, როგორებიცაა მოხდილი (გაუცხიმოებული) რძე, შესქელებული რძე, რძის ფხვნილი (მშრალი რძე) **ცხოველური წარმოშობის პროდუქტები** - რძის ცხიმი, კარაქი, ერბო (გაუწყლოებული რძის ცხიმი), ნაღები, ნაღების ფხვნილი (მშრალი ნაღები), კაზეინი, შერეული ცხიმი (butteroils) და სხვ. **დამზადებული ცხოველური წარმოშობის სურსათი** (ერთი ინგრედიენტით) - რძისგან დამზადებული პროდუქტები (ნაწარმი), როგორებიცაა იოგურტი, ყველი **ცხოველური წარმოშობის წარმოებული სურსათი** (რამდენიმე ინგრედიენტის შემცველობით) - რძის პროდუქტები, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ინგრედიენტის შემცველობის მქონე სურსათს და შედგება როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული წარმოშობის ინგრედიენტებისაგან, რომელშიც უპირატესია ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტის (ინგრედიენტების) შემცველობა, როგორებიცაა მდნარი ყველი, არომატიზებული იოგურტი, ყველის პროდუქტები, შესქელებული რძე შაქრით			
3.1	რძე, რძის ფხვნილი, შესქელებული რძე და ნაღები, რძიანი ნაყინი, ნაღები, იოგურტი		შეფუთული/ დაფასოებული ერთეულ(ებ)ი ან ერთეულ(ებ)ი აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 ლ (თხევადი) ან 0,5 კგ (მყარი)
	ა) დაუფასოებელი შესქელებული რძე და შესქელებული ნაღები ნიმუშის აღების წინ კარგად უნდა იქნეს შერეული, კონტეინერის კედლებიდან და ძირიდან ადჰეზირებული (მიკრული, მიწებებული) მასალა უნდა მოიფხიკოს და კარგად შეერიოს კონტეინერის შიგთავსს. აუცილებელია აღებულ იქნეს 2-3 ლიტრი მოცულობის მასალა და ლაბორატორიული ნიმუშის აღების წინ განმეორებით მოხდეს კარგად შერევა; ბ) დაუფასოებელი მშრალი რძის (რძის ფხვნილის) ნიმუშები აღებული უნდა იქნეს ასეპტიკურად (სტერილურად). ნიმუშის აღებისას,ნიმუშის ასაღები მშრალი საცეცი თანაბარი სიჩქარით უნდა მოძრაობდეს რძის ფხვნილის მშრალ მასაში; გ)დაუფასოებელი ნაღები ნიმუშის აღებამდე კარგად უნდა იქნეს შერეული დგუშით, ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქაფის წარმოქმნა, ათქვეფა და ადღვება.			
3.2	კარაქი და შერეული ცხიმი	კარაქი, კარაქის შრატი, ცხიმის დაბალი შემცველობის სპრედები, რომლებიც შეიცავენ კარაქის ცხიმს, გაუწყლოებულ შერეულ(მცენარეულ და ცხოველურ) ცხიმს,	მთლიანი შეფუთული/ დაფასოებული ერთეულ(ებ)ი ან მათი ნაწილი, ან ერთეულ(ებ)ი აღებული ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,2 კგ ან 0,2 ლ

		გაუწყლოებულ რძის ცხიმს		
3.3	ყველი, მათ შორის მდნარი ყველი (გადამუშავებული ყველი)			
	ცალობითი ერთეული მასით ≥ 0,3 კგ		მთლიანი ერთეულ(ებ)ი ან ერთეულ(ებ)ი აღებული (ამოჭრილი) ნიმუშის ასაღები ხელსაწყოთი	0,5 კგ
	ცალობითი ერთეული მასით < 0,3 კგ			0,3 კგ
	შენიშვნა: ა)ყველიდან, რომელსაც აქვს მრგვალი ძირი (ცილინდრის ფორმა), ნიმუში აღებული უნდა იქნეს ცენტრიდან ორი რადიალური ჭრილით მიღებული ნაწილიდან; ბ) ყველიდან, რომელსაც აქვს სწორკუთხედს ფორმა, ნიმუში აღებული უნდა იქნეს გვერდების პარალელური ორი ჭრილით მიღებული ნაწილიდან.			
3.4	თხევადი, გაყინული ან მშრალი (გამომშრალი) კვერცხის პროდუქტები		ერთეულ(ებ)ი აღებული ასეპტიკურად ნიმუშის ასაღები მოწყობილობით	0,5 კგ



ნახაზი N2. ნიმუშის აღების სქემა: ხორცი და ფრინველი